ხელშეკრულება №7
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV 32500000).

ქ. ბათუმი „ 14“ „აპრილი” 2015წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა (მისამართი: ქ. ბათუმი, შ.ხიმშიაშვილის 7, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-245428363), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”, წარმოდგენილი აჭარის ა.რ. პროკურორის შოთა ტყეშელაშვილის სახით და **შპს „ტელკო სისტემსი”** (მისამართი: ქ. თბილისი ყაზბეგის 29ა : ანგ.№ **GE54VT6600001212123602** სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ კოდი: UGEBGE22, სკ: 205203279) შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად”** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირაკლი გულიაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ” ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი” – პირი, რომელიც აწვდის საქონელს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საჭიროებისათვის კომუტატორის შეძენა დანართი 1 შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 227.3 (ორასოცდა შვიდი ლარი და 30 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

4. მიწოდებული საქონლის ხარისხი

4.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

4.2 მიწოდებული საქონლის გარანტია ერთი წელი.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

5.1.1. 10 დღის ვადაში გადასცეს „შემსყიდველს“ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

5.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 „შემსყიდველი", ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის თაობაზე, „მიმწოდებელთან“ ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

7.2 მოწოდების ადგილი: თბილისი, ყაზბეგის ქ. N29 ა

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

8.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **15 (თხუთმეტი)** დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

9 მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) ურთიერთვალდებულებების შესრულებით.

ბ) მხარეთა შეთანხმებით.

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 მაისის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი – შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა,
წარმოდგენილი აჭარის ა.რ. პროკურორის
შოთა ტყეშელაშვილის სახით,
მისამართი: ქ. ბათუმი შ.ხიმშიაშვილის 7
ტელეფონი: 2405601,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-245428363

მიმწოდებელი

შპს „ტელკო სისტემსი"
წარმოდგენილი დირექტორის
ირაკლი გულიაშვილის სახით,
მის: ქ. თბილისი ყაზბეგის 29ა
ტელეფონი: 2 19 29 99,
საბანკო რეკვიზიტები: ა/ა
№ **GE75TB4021536020100006**
სს „თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22,
სკ – 205203279

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	TK-801R(EU) 8-port KVM Switch (Rack Mount) (HTS:8471801000)	ცალი	1	227.3	227.3

აჭარის ა.რ. პროკურორი
შოთა ტყეშელაშვილი

შპს „ტელკო სისტემსი"
ირაკლი გულაშვილი